არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საერთაშორისო ლიცეუმ კლუბი საქართველოს

წესდება

თბილისი, 2021 წელი

I.სტრუქტურა და მიზანი

მუხლი 1. ზოგადი მიზანი, სახელწოდება და ადგილმდებარეობა

წესდება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის - საერთაშორის ლიცეუმ კლუბი საქართველოს (შემდგომში ასოციაცია ან - სლკ საქართველო) მიზნებს, მართვის ორგანოების სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

ასოციაცია შექმნილია ცირა ბიუიკის, პ/ნ 01005002670 და ნინა გამსახურდია-ბარდაველიძის პ ნ 01005002718 მიერ. შემდგომში საზოგადოების დამფუძნებლები.

ასოციაცია დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს. დებს გარიგებებს და შეუძლია სასმართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

ასოციაცია საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესდების შესაბამისად.

ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიში (მათ შორის სავალუტო).

ასოციაციის იურიდიული მისამართია> მცხეთის მეორე გასასვლელი #7, ვაკის რაიონი, თბილისი, საქართველო 0179

ასოციაციის ელექტრონული მისამართია: lyceum.georgia@gmail.com,

ასევე tsirabewick@gmail.com

საერთაშორისო ლიცეუმ კლუბი საქართველო (შემდგომში - სლკ საქართველო) არის ასოციაცია, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სლკ საქართველო დაარსდა 2021 წელს. ასოციაცია მდებარეობს თბილისში (საქართველო). ის პოლიტიკურად და რელიგიურად ნეიტრალურია. სლკ საქართველოს წელი შეესაბამება კალენდარულ წელს.

მუხლი 2. მიზანი და საქმიანობის საგანი

ასოციაცია მიზნად ისახავს იმ ქალთა გაერთიანებას, ვინც დაინტერესებულნი არიან კულტურული, სოციალური და სამეცნიერო საკითხებით. იგი დაკავებულია სხვადასხვა ტიპის ქველმოქმედებით და ასევე ხელს უწყობს ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ასოციაციის საქმიანობის საგანს წარმოადგენს თანხების მოზიდვა სხვადასხვა დონორებისგან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და უზრუნველყოფს აკუმულირებული თანხების მიზნობრივ ხარჯვას.

II წევრობა

მუხლი 3. წევრები

წევრობა ხელმისაწვდომია იმ ქალბატონებისთვის, რომლებიც ერთგულნი არიან ასოციაციის მიზნების და სურთ გააჩნდეთ ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.

მუხლი 4. გაწევრიანება

ა. საბჭო მიიღებს ახალ წევრს, როგორც წერილობითი განცხადების საფუძველზე, ასევე ორი ქალბატონის წერილობითი რეკომენდაციის საფუძველზე. საბჭოს შეუძლია უარის თქმა, მიზეზის ახსნის გარეშე.

ბ. სლკ საქართველოს თითოეულმა წევრმა უნდა გადაიხადოს წლიური საწევრო გადასახადი, რომლის ოდენობაა **70 ლარი,** ხოლო VIP საწევრო იქნება 250-დან 500 ლარამდე.

მუხლი 5. წევრობის ვადის გასვლა

წევრობა გაუქმდება გასვლის, გარიცხვის ან გარდაცვალების შემდეგ.

გასვლა:

- წერილობით უნდა ეცნობოს სლკ საქართველოს კალენდარული წლის დასრულებამდე სულ მცირე, ერთი თვით ადრე.

გარიცხვა:

- გადაწყვეტილების მიღება წევრის გარიცხვის შესახებ, ასოციაციის საწინააღმდეგო ქმედების ან უსაქციელობის გამო, ხდება საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით. შესაბამისი წევრი გაირიცხება ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე.

- თუკი წევრს არ გადაუხდია საწევრო გადასახადი ორი წლის განმავლობაში, იგი გარიცხულად ჩაითვლება და მიიღებს წერილობით შეტყობინებას.

III მართვის ორგანოები

მუხლი 6. ასოციაციის მართვის ორგანოები

სლკ საქართველოს მართის ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება დამფუძნებელთა მიერ, საბჭო და ასოციაციის პრეზიდენტი.

მუხლი 7. გენერალური ასამბლეა

ა. იურისდიქცია

გენერალური ასამბლეა არის უმაღლესი ორგანო. გენერალური ასამბლეა

ამტკიცებს:

- ბოლო გენერალური ასამბლეის ოქმს;
- პრეზიდენტის წლიურ ანგარიშს,
- წლიურ ანგარიშებს;
- ბიუჯეტს და წლიურ შენატანებს;

ირჩევს:

- პრეზიდენტს
- საბჭოს დანარჩენ წევრებს;

ამტკიცებს ან ცვლილება შეაქვს:

- წესდებაში;
- იღებს გადაწყვეტილებას რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

გენერალური ასამბლეაში შედიან საზოგადოების დამფუძნებლები.

ბ. გენერალური ასამბლეის კრება

გენერალური ასამბლეის კრება იმართება ყოველწლიურად. გენერალურ ასამბლეაზე მოწვევა, დღის წესრიგთან ერთად, ეგზავნება ყველა წევრს მინიმუმ სამი კვირით ადრე. გენერალური ასამბლეისთვის განკუთნილი წინადადებები წერილობით უნდა წარედგინოს პრეზიდენტს გენერალური ასამბლეის ჩატარებიდან არანაკლებ 14 დღით ადრე. გენერალურ ასამბლეას აქვს ქვორუმი, თუ ესწრება წევრთა მინიმუმ 1/5. საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე გენერალური ასამბლეა.

გ. გადაწყვეტილების მიღება

წესდების 7-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, გარდა გადაწყვეტილებისა წესდებაში ცვლილების შეტანაზე ან ასოციაციის გაუქმებაზე, რომელიც მიიღება დამსწრე წევრთა აბსოლუტური

უმრავლესობით. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. როგორც წესი, ხმის მიცემა ღიაა. თავმჯდომარის ან დამსწრეთა ნახევარის მოთხოვნით, შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრა. საბჭოს წევრების არჩევა ხდება ყოველწლიურად.

მუხლი 8. საბჭო

ა. იურისდიქცია

საბჭო არის ასოციაციის მართვის ორგანო. საბჭო მართავს ასოციაციის საქმიანობას და პასუხისმგებელია სლკ საქართველოს ყველა ღონისძიებაზე. საბჭო ნიშნავს სპეციალურ კომისიებს და ამყარებს პარტნიორობას უცხოურ კლუბებთან.

ბ. შემადგენლობა

საბჭოს შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტი (ცირა ბიუიკი პ/ნ 01005002670), იურისტი (ნათია ბარდაველიძე, პ/ნ:01009002796), ხაზინადარი (მარინა ხატიაშვილი და კოორდინატორი (მარიკა გოკიელი). საბჭოს წევრებს ირჩევს გენერალური ანსამბლეა 3 წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია.

საბჭოს კომპეტენციაში შედის:

- ასოციაციის სამოქმედო დოკუმენტების შექმნა;
- ასოციაციის საშტატო განრიგის დამტკიცება;
- ასოციაციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ასოციაციის ახალი წევრის მიღება.

გ. გადაწყვეტილების მიღება

ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება გენერალური ანსამბლეის კომპეტენციას წესდების 7-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს მიერ. საბჭოს სხდომებს იწვევს პრეზიდენტი წელიწადში ოთხჯერ. სხდომას აქვს ქვორუმი, თუ ესწრება საბჭოს წევრთა მინიმუმ 1/

3. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

9. პრეზიდენტი

პრეზიდენტს ირჩევს გენერალური ანსამბლეა 3 წლის ვადით. და მათი ხელახალი არჩევა შესაძლებელია შეუზღუდავად.

პრეზიდენტი წარმოადგენს ასოციაციის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით პირს.

პრეზიდენტი წარმართავს ასოციაციის ყოველდღიურ საქმიანობას და გადაწყვეტილებებს იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ შედის გენერალური ანსამბლეის და საბჭოს კომპეტენციაში.

პრეზიდენტი წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ხელს აწერს ასოციაციის სახელით ხელშეკრულებებს.

IV ფინანსური საკითხები

მუხლი 10. ხაზინადარი

ხაზინადარი პასუხისმგებელია ყველა ფინანსურ საკითხზე, მათ შორის, საწევრო გადასახადზე და გაწეულ ხარჯებზე. ხაზინადარი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

V ასოციაციის წესდების შესწორება და შეწყვეტა, ასოციაციის წევრობიდან გასვლა

მუხლი 11. წესდების გადასინჯვა

ახალი წესდების პროექტის მომზადება და საბჭოს მიერ წარდგენა უნდა მოხდეს გენერალური ასამბლეის ჩატარებამდე, სულ მცირე, ერთი თვით ადრე. წევრებს უნდა ჰქონდეთ დრო კომენტარების გასაკეთებლად.

VI დასკვნითი დებულება

მუხლი 12. ასოციაციის წესდების ძალაში შესვლა

სლკ საქართველოს საბჭოს წევრებმა ეს წესდება მიიღეს სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 2020 წლის 8 ნოემბერს.

დამფუძნებელი:
ცირა ბიუიკი
მცხეთის მეორე გასასვლელი #7
ვაკის რაიონი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 01005002670
თბილისი, საქართველო, 0179
ტელ.595448836, ემაილი: tsirabewick@gmail.com

<u>!კითხვებისა და გაწევრიანების სურვილის შემთხვევაში მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ!</u>